სტივ ბრიუსი

სოციოლოგია

ძალიან მოკლე შესავალი

Original English
language edition by
OXFORD
UNIVERSITY PRESS

სტივ ბრიუსი
სოციოლოგია
ძალიან მოკლე შესავალი

მთარგმნელი ლაშა გველესიანი
სამეცნიერო რედაქტორი რატი შუბლაძე
რედაქტორი ეკატერინე სუმბათაშვილი
დიზაინერი ია მახათაძე
ტექნიკური დიზაინერი ლადო ლომსაძე

ქართული გამოცემა © ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2019
ყველა უფლება დაცულია.

შპს „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა"
დავით აღმაშენებლის 150, 0112 თბილისი
ტელეფონი: 291 09 54, 291 11 65
ელფოსტა: info@sulakauri.ge

ISBN 978-9941-30-285-5

Steve Bruce
SOCIOLOGY
A Very Short Introduction
Second Edition

© Steve Bruce 1999, 2018
Georgian translation published by Sulakauri Publishing, 2019
All rights reserved.

www.sulakauri.ge

სტივ ბრიუსი

სოციოლოგია

ძალიან მოკლე შესავალი

Original English
language edition by
OXFORD
UNIVERSITY PRESS

შინაარსი

წინასიტყვაობა 7

ავტორის მადლობა 9

თავი პირველი

სოციოლოგიის ადგილი მეცნიერებათა შორის 11

თავი მეორე

სოციალური კონსტრუქტები 34

თავი მესამე

მიზეზები და შედეგები 71

თავი მეოთხე

თანამედროვე მსოფლიო 84

თავი მეხუთე

რა არ არის სოციოლოგია 122

გამოყენებული წყაროები 152

სამომავლოდ საკითხავი ლიტერატურა 153

საძიებელი 155

წინასიტყვაობა

სოციოლოგია თან უყვართ, თან სძულთ, რაც მის ძალასა და მნიშვნელობაზე მეტყველებს. ძველი, ტრადიციული აკადემიური დისციპლინები, როგორც უტიფარ ახალბედას, სოციოლოგიას აბუჩად იგდებენ, თუმცა მის მიდგომებს იზიარებენ; უბრალო ხალხი პროფესიონალ სოციოლოგებს დასცინის, მაგრამ ყოველდღიურ ცხოვრებაში ამ დარგის არაერთ ამოსავალ დებულებას მათ წარმომავლობაზე დაფიქრების გარეშე ითვალისწინებს; კონსერვატიული მთავრობები ამ დარგს საზოგადოების ზნეობრივ ხრწნაში ადანაშაულებენ, საკუთარი პოლიტიკური პროგრამების შესაფასებლად კი ისევ და ისევ სოციოლოგებს ქირაობენ.

ჩვენი გაორებული დამოკიდებულება ამ დარგის მიმართ ანეკდოტების სიმრავლესა და შინაარსშიც ვლინდება. შეიძლება პროფესიულ პარანოიად მიიჩნიოთ, მაგრამ მეჩვენება, რომ ანეკდოტები სოციოლოგებზე პრინციპულად არ ჰგავს ანეკდოტებს, მაგალითად, ისტორიკოსების შესახებ. რადგან იუმორი ძნელად ითარგმნება, აქ მხოლოდ ერთ მაგალითს მოვიყვან 1980-იანი წლების შესანიშნავი ბრიტანული კომედიური ტელესერიალიდან „პირადი მცველი" (Minder), რომელიც წვრილმან ავაზაკთა და მდაბიო ლონდონელ ქურდბაცაცათა ცხოვრებას აღწერდა. ორი პერსონაჟი – უსაყვარლესი არამზადები – ციხიდან ახლად გამოსულ ნაცნობზე საუბრობს. ერთი ამბობს, რომ მათ მეგობარს ციხეში დრო ფუჭად არ გაუფლანგავს და სწავლა გადაუწყვეტია: „მაშ, ასეა. ღია უნივერსიტეტის დიპლომი აქვს. სოციოლოგიაში". მეორე ეკითხება: „ანუ ქურდობას თავი დაანება?" პირველი კი პასუხობს: „არა, მაგრამ ახლა იცის, რატომაც ქურდობს!"

ამ სარკაზმში ბევრი ნიუანსია. სოციოლოგია ბოროტმოქმედებისთვის, სავარაუდოდ, იმითაა მიმზიდველი, რომ იგი ხშირად სოციალურ პრობლემებს იკვლევს, ინდივიდუალური ქცევის სოციალურ მიზეზებს ავლენს და ადამიანს პასუხისმგებლობისგან ათავისუფლებს. სოციოლოგია გულუბრყვილოა და გამოცდილ ხალხს მისით მანიპულირება შეუძლია. მიუძღვის თუ არა სოციოლოგიას რაიმე ბრალი რომელიმე ზემოჩამოთვლილ და-

ნაშაულში? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა მკითხველს, წესით, წინამდებარე პატარა წიგნის წაკითხვის შემდეგ თავად უნდა შეეძლოს.

გარკვეულ მიზეზთა გამო, რომლებიც შემდგომში უკეთ გამოჩნდება, სოციალურ მეცნიერებათა წარმომადგენლებს ბევრად უფრო უძნელდებათ რაიმე საკითხზე შეთანხმება, ვიდრე ეს საბუნებისმეტყველო დარგებში ხდება. მაგალითად, ფიზიკის მოწინავე სფეროს მკვლევრები შეიძლება გაა-ფთრებით ედავონ ერთმანეთს, თუმცა რიგით ფიზიკოსთა შორის არსებობს გარკვეული კონსენსუსი იმ ძირითადი საკითხების თაობაზე, რომელთა შე-ტანა თამამად შეიძლება ფიზიკის სასკოლო სახელმძღვანელოებში და მათი დასწავლა საწყის ეტაპზე ყველა მოსწავლისთვის სავალდებულოა. ამის საპირისპიროდ, სოციალურ მეცნიერებათა შესავალი ტექსტები საკვლევ საკითხებს უმეტესად ერთმანეთის კონკურენტი მიდგომების კრებულად წარმოაჩენს. ამ ძირეული უთანხმოების ხაზგასმას თავისი დადებითი მხარეე-ბიც აქვს. როცა კონკრეტული თეორიული აქცენტები თავიანთ ლოგიკურ დაბოლოებამდე მიგვყავს, უკეთ აღვიქვამთ იმ სადავო საკითხებს, რომელთა გადაჭრის გარეშეც სოციალური ცხოვრების ამა თუ იმ ასპექტის ახსნა შეუძლებელია. როგორც პოლიტიკოსები საარჩევნო კამპანიის დროს, ცალკეული სოციოლოგიური სკოლების მომხრენი ცდილობენ, „მკაცრად გაემიჯნონ" მეტოქეებს. მაგრამ, საბედნიეროდ, ისევ და ისევ ხელისუფლე-ბაში მოსული პოლიტიკოსების მსგავსად, როცა საქმე პრაქტიკულ სოცი-ოლოგიაზე მიდგება, საერთო ენის გამონახვასაც ახერხებენ.

„ძალიან მოკლე შესავლის" ვიწრო ჩარჩოები მათავისუფლებს და-რგის სრულად მიმოხილვის ვალდებულებისგან. სამაგიეროდ, ვეცდები, სოციოლოგიური ხედვის სპეციფიკური არსი სამ ეტაპად გადმოვცე: ჯერ განვმარტავ სოციოლოგიას, როგორც სოციალურ მეცნიერებას; მეორე, მესამე და მეოთხე თავებში მის ძირითად ამოსავალ დებულებებს მიმოვი-ხილავ; მეხუთე თავში კი ვეცდები, გავმიჯნო სოციოლოგია მის სახელს ამოფარებული რიგი მიმდინარეობებისგან, რომლებიც სამწუხაროდ, პო-პულარობითაც კი სარგებლობს.

ავტორის მადლობა

მადლობა უნდა გადავუხადო გორდონ მარშალს (ლივერჰიუმის ფონდის დირექტორს, ოქსფორდის უნივერსიტეტის ნაფილდის კოლეჯის ყოფილ წევრსა და რედინგის უნივერსიტეტის ყოფილ ვიცე-კანცლერს) და ჯორჯ მილერს, ოქსფორდის უნივერსიტეტის გამომცემლობის თანამშრომელს, რომლებმაც ამ წიგნის დაწერა მირჩიეს. გორდონ მარშალმა, ედინბურგის უნივერსიტეტის თა-ნამშრომელმა სტივენ იერლიმ და ექსეტერის უნივერსიტეტის თანამშრომელმა დეივიდ ინგლისმა ტექსტის მომზადების პროცესში ღირებული შენიშვნები არ დაიშურეს. სტერლინგის უნივერსი-ტეტისა და ბელფასტის კუინზის უნივერსიტეტის პროფესორმა როი უოლისმა ჩემს საწყის სოციოლოგიურ განათლებაზე იზრუნა. ლონდონის საუნივერსიტეტო კოლეჯის თანამშრომელმა დეივიდ ვოასმა ბევრი იღვაწა საიმისოდ, რომ სოციოლოგიის, როგორც სოციალური მეცნიერების, მნიშვნელობაში დავერწმუნებინე. ჰი-ლარი უოლფორდმა პირველი გამოცემის კორექტურა წაიკითხა და არაერთი შეცდომა გამისწორა. ხოლო დენ ჰარდინგმა მეორე გამოცემის ტექსტის გამართვაზე იზრუნა. ყველა ამ ადამიანს მა-დლობას ვუხდი.

თავი პირველი

სოციოლოგიის ადგილი მეცნიერებათა შორის

სოციოლოგია და მეცნიერება

კაცობრიობა უკვე დიდი ხანია ავლენს მატერიალური სამყაროს შემეცნებისა და მართვის გასაოცარ უნარს. მეცნიერები თუ ფილოსოფოსებიც ამდენივე ხანია ცდილობენ დაადგინონ, რა განასხვავებს წარმატებულ თანამედროვე მეცნიერებს ალქიმიკოსებისგან, რომლებიც ქვის ოქროდ ქცევას ცდილობენ, ან თუნდაც ასტროლოგებისგან, ვარსკვლავების განლაგებაზე დაკვირვებით მომავლის წინასწარმეტყველებას რომ ლამობენ. სამწუხაროდ, ვერც ერთმა ასეთმა მცდელობამ მათ შორის მკაფიო ზღვარი ვერ გაავლო და, როცა მეცნიერების საქმიანობას ახლოდან ვაკვირდებით, ხშირად მივდივართ შემდეგ დასკვნამდე: ყოველდღიური სამეცნიერო მოღვაწეობა სულაც არ ჰგავს ფილოსოფოსთა მიერ დახატულ სურათს. და მაინც, შეგვიძლია ჩამოვთვალოთ ის მახასიათებლები, რომლებსაც, უფრო სავარაუდოა, წავაწყდეთ ფიზიკასა და ასტრონომიაში, ვიდრე ალქიმიასა და ასტროლოგიაში. მართალია, სრული დაბეჯითებით მეცნიერებას ცრუმეცნიერებისგან ვერ ვმიჯნავთ, მაინც შეგვიძლია „მეტ-ნაკლებად" მეცნიერული მსჯელობა ყოფითი აზროვნებისგან განვასხვავოთ.

უპირველესად, ნებისმიერი კარგი მეცნიერული თეორია შინაარსობრივად თანამიმდევრული უნდა იყოს, ეს კი მას მყისვე მიჯნავს

არაპროფესიონალის აზროვნებისგან. დედაჩემი ყოველთვის დარწმუნებული იყო საკუთარ სისწორეში და, ამავე დროს, უმეტესად საკუთარ ნათქვამსვე ეწინააღმდეგებოდა, ურთიერთგამომრიცხავ დებულებებსაც ემხრობოდა, თუმცა ეს სულაც არ ადარდებდა. ერთხელ გზისპირა სასადილოს ის წუნი უპოვა, რომ თურმე საძაგელი საჭმელი და პაწაწინა ულუფები ჰქონიათ!

გარდა ამისა, კარგი მეცნიერული თეორია უნდა ერგებოდეს არსებულ მტკიცებულებებს. თითქოს არაფერია ამაში განსაკუთრებული, მაგრამ მეცნიერები, ამ მხრივ, ბევრად უფრო მკაცრ მოთხოვნებს უყენებენ ერთმანეთს, ვიდრე რიგითი ადამიანები. მაგალითად, ძალიან განსხვავებული სტანდარტებით ხელმძღვანელობს ტრადიციული (მეცნიერული) და ალტერნატიული მედიცინა. მართალია, ფარმაცევტული კომპანიების კომერციული წარმატება იმაზეა დამოკიდებული, კონკურენტებზე ადრე გაიტანენ თუ არა ბაზარზე თავიანთ პრეპარატებს, ყველა სამკურნალო საშუალება ხანგრძლივ ფართომასშტაბიან კლინიკურ გამოცდას გადის. „ორმაგი ბრმა" ტესტირებისთვის პაციენტების დიდი რაოდენობა იყოფა ექსპერიმენტულ და საკონტროლო ჯგუფებად. ერთი ჯგუფი იღებს ახალ წამალს, მეორე – უსარგებლო და უვნებელ ნივთიერებას, ე. წ. პლაცებოს. ვინ რომელ ჯგუფში მოხვდა, ეს მხოლოდ კვლევის დასასრულს ირკვევა, მანამდე კი არც პაციენტებმა და არც ექიმებმა არ იციან, ვინ იღებს ნამდვილ წამალს და ვინ – პლაცებოს. მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ექსპერიმენტულმა ჯგუფმა აჩვენა მდგომარეობის არსებითი გაუმჯობესება პლაცებოს მიმღებ ჯგუფთან შედარებით, შეიძლება იმის მტკიცება, რომ წამალი შედეგიანია. ამის საპირისპიროდ, ალტერნატიული მედიცინის მეთოდების – მაგალითად, ლოცვით მკურნალობის, აკუპუნქტურის ან მაგნიტოთერაპიის – ეფექტიანობას კლინიკური გამოცდით იშვიათად ადგენენ: მიიჩნევა, რომ პრაქტიკოსი მკურნალის პირადი გამოცდილება და სასწაულებრივი განკურნების ერთი-ორი, ფაქტებით დაუსაბუთებელი შემთხვევა სრულებით საკმარისია.

და, თუნდაც მეთოდის გამოცდა გადაწყვიტონ, არასოდეს არავის ჩაუტარებია ფართომასშტაბიანი ან „ორმაგი ბრმა" ტესტირებით კვლევა. შესაბამისად, ვერ გამოვრიცხავთ ორ ვარაუდს: ერთი, რომ ზოგი პაციენტი „უკეთ გახდა", რადგან რაღაც მარტივმა დაავადებამ თავისით გაუარა, და, მეორე, რომ ნებისმიერ მკურნალობას შეიძლება მოჰყვეს „პლაცებოს ეფექტი" – ე. ი. უკეთ გავხდეთ, რადგან მოველით, რომ მკურნალობა გვიშველის.

მესამეც, მეცნიერება გამუდმებით იცვლება. მისი მონაპოვარი ერთხელ და სამუდამოდ დადგენილ აბსოლუტურ ჭეშმარიტებას კი არ წარმოადგენს, არამედ ყოველთვის დაუზუსტებელია და შეიძლება გაუმჯობესდეს. არაერთი საყოველთაოდ აღიარებული თეორია აღმოჩენილა დროთა განმავლობაში ისტორიის სანაგვეზე. ზოგადად, მეცნიერულ „პროგრესზე" საუბარს ერიდებიან, რადგან ეს იმას გულისხმობს, რომ თითქოს ზუსტად ვიცით, საით მივისწრაფვით, მაგრამ ის კი ნამდვილად ვიცით, საიდან მოვდივართ, და შეგვიძლია ვთქვათ, რომ მეცნიერება ნელ-ნელა თავისუფლდება შეცდომებისგან. ამ მხრივაც ჩანს განსხვავება მეცნიერული მედიცინის ექსპერიმენტულ მიდგომასა და ალტერნატიულ მედიცინას შორის, რომელიც ტრადიციებს ეფუძნება. ედუარდ ბეჩისეული ყვავილებით თერაპიის, ფენ-შუის ან შიაცუს მასაჟის მიმდევრები გვარწმუნებენ, თითქოს ამა თუ იმ ტრადიციის მრავალსაუკუნოვანი ისტორია (თანაც თუ ეს ტრადიცია თანამედროვეობისგან შეურყვნელ კულტურაში ჩამოყალიბდა) მისი ქმედითობის დასტურია. იმის გათვალისწინებით, რომ მედიცინამ უაღრესად ფუნდამენტური ფენომენი, როგორიც სისხლის მიმოქცევის სისტემაა, არცთუ დიდი ხნის წინათ აღმოაჩინა, ალბათ, არცაა გასაკვირი, რომ მეცნიერზე ამა თუ იმ იდეის სიძველე დიდ შთაბეჭდილებას ვერ ახდენდეს.

ცუდ მეცნიერებაში (მაგალითისთვის მოვიშველიოთ ერიხ ფონ დენიკენის მტკიცება: ეგვიპტური პირამიდები უცხოპლანეტელების აშენებულია) თეორიები კონტექსტიდან ამოგლეჯილ ცალკეულ

ფაქტებს ემყარება. კარგ მეცნიერებაში კი იმისთვის, რომ მოვლენის უკვე ალიარებულ ახსნას ახალი ჩაენაცვლოს, საჭიროა მოცემულ საკითხთან დაკავშირებული მრავალფეროვანი მონაცემების სისტემატური შეგროვება. მაგრამ ესეც არ კმარა. ძნელად თუ მოიძებნება იმდენად უცნაური იდეა, რომ მის დასადასტურებლად ვერანაირი მონაცემი ვერ მოვნახოთ. მიზეზს, თუ რატომ უნდა ვიწამოთ ესა თუ ის თეორია, ყოველთვის ვიპოვით. ბევრად უფრო მნიშვნელოვანია, იმის მიზეზები ვეძებოთ, რატომ არ უნდა ვიწამოთ. მეცნიერებაში ყველაზე დამაჯერებელი სწორედ ის იდეებია, რომლებმაც გაბათილების გამუდმებულ მცდელობებს გაუძლო.

აი, მივედით მეცნიერების ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან მახასიათებლამდეც: როგორ რეაგირებს მეცნიერება წარუმატებლობაზე. დავუშვათ, სუბატომური ნაწილაკების ახალი თეორია შევიმუშავე. ჩემს ლაბორატორიაში, ჩემს სამეცნიერო შეხედულებებზე აღზრდილ მოწაფეებთან ერთად უამრავი ექსპერიმენტი ჩავატარე, რომლებიც ახალ თეორიას ადასტურებს. მაგრამ შემდეგ სხვაგან, სხვა მეცნიერებმა, ჩემი კვლევა გაიმეორეს და იგივე შედეგები ვერ მიიღეს. მე ჩემი თეორია ახალი მონაცემების შესაბამისად უნდა გადავსინჯო. თუ შემიძლია ჩემი თეორია ახალ შედეგებს მოვარგო ან ავხსნა, რატომაა ეს შედეგები მცდარი, მაშინ ჩემი თეორია ძალაში რჩება; თუ არა – მასზე უარი უნდა ვთქვა.

ამ მიდგომის ღირსება ყველაზე ნათლად გამოჩნდება ალტერნატიული ვარიანტის განხილვისას. კლიენტი, რომელსაც კანზე გამონაყარი აწუხებს, მიდის ექიმბაშთან. ექიმბაში ქათამს საწამლავს უყრის, აკვირდება მომაკვდავი ფრინველის ბარბაცს და ასკვნის, რომ კლიენტს ცოლისდამ ჯადო გაუკეთა და გამონაყარიც ამის ბრალია. მას აძლევენ ავგაროზს და ეუბნებიან, რომ ერთი კვირა ატაროს, ჯადო მოეხსნება და გამონაყარიც გაუვლის. გადის ერთი თვე. გამონაყარს კი მაინც არაფერი ეშველა. თითქოს ექიმბაშს უნდა დაესკვნა, რომ ჯადო სისულელეა და არც ავგაროზს ჰქონია რაიმე მკურნალი ძალა, მაგრამ ამის ნაცვლად ექიმბაში ამბობს:

კლიენტს საკმარისი რწმენა არ ჰქონია – მკურნალობა შედეგს მხოლოდ მაშინ გამოიღებს, თუ კლიენტს განკურნების ამ გზის ნამდვილად სჯერა.

ეს მაგალითი ტრადიციული აფრიკული მედიცინიდანაა, თუმცა თანამედროვე მეცნიერები არანაკლებ ფანტაზიას ავლენენ, როცა საქმე მათი საყვარელი თეორიების დაცვაზე მიდგება ხოლმე. ცხადია, ბევრად აჯობებდა, მეცნიერებს მხოლოდ თავიანთი დარგის ზოგადი ინტერესებით ეხელმძღვანელათ და ზედმეტად არ შეჰყვარებოდათ საკუთარი თეორიები, მაგრამ ისინიც ადამიანები არიან. მეცნიერება ცალკეულ მეცნიერთა ზებუნებრივი მიუკერძოებლობის იმედად რომ არ იყოს, საჭიროა კონკურენცია. მან, ვინც კონკრეტული თეორიის შექმნას ოცი წელი შეალია, შეიძლება ძალ-ღონე არ დაიშუროს საკუთარ შეხედულებათა დასაცავად. სამაგიეროდ, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში კარიერული სტრუქტურა ისეთია, რომ იმავე დარგში ყოველთვის გამოჩნდება არაერთი ახალგაზრდა სპეციალისტი, რომელიც თავის კარიერულ წინსვლას წინამორბედთა მონაპოვრის გაბათილებაზე დაამყარებს.

მეცნიერების განვითარებას იდეათა თავისუფალი გაცვლა და ინტელექტუალური კონკურენცია სჭირდება. უძრაობა მეცნიერებაში მაშინ ისადგურებს, როცა – როგორც შუა საუკუნეებში კათოლიკური ეკლესიის გავლენით ანდა 1930-იანი წლების საბჭოთა კავშირში კომუნისტური მმართველობის დროს – გარე ძალა ამკვიდრებს დარგის მიღწევებთან დაუკავშირებელ დოგმებს. XIX საუკუნეში ზოგი გენეტიკოსი მიიჩნევდა, რომ ინდივიდის მიერ ცხოვრების განმავლობაში შეძენილი მახასიათებლები შეიძლება გენების მეშვეობით შემდგომ თაობებსაც გადაეცეს. ფრანგი ბიოლოგის, ჟან-ბატისტ ლამარკის აზრით, ჟირაფის კისრის დაგრძელება მაღალ ხეებზე ფოთლების მისაწვდენად მისი ხშირი გაწელვის შედეგია. ალტერნატიული ახსნის თანახმად, გრძელი კისერი თავიდანვე გენეტიკურად განპირობებული თვისება იყო და გრძელკისერა ჟირაფების გადარჩენის (და, შესაბამისად, გამრა-

ვლების) უფრო დიდი ალბათობა არსებობდა, ვიდრე დანარჩენი ჟირაფების, ე. ი. გენოფონდი „ბუნებრივი გადარჩევის" შედეგად იცვლება და არა დასწავლით. 1920-იანი წლებისთვის ლამარკიზმი, ძირითადად, უკუაგდეს, თუმცა შემორჩა საბჭოთა კავშირში, სადაც ბუნებრივი გადარჩევის თეორიას კაპიტალიზმის ლოგიკასთან მეტისმეტად ახლომდგომად მიიჩნევდნენ, ამიტომაც ის პოლიტიკურად მიუღებელი იყო. საბჭოთა აგრონომმა ტროფიმ ლისენკომ თავისი პოლიტიკური გავლენის წყალობით ლამარკიზმი ოფიციალური კომუნისტური ფილოსოფიის ნაწილად აქცია, ხოლო იმ გენეტიკოსებს, რომლებიც მას უპირისპირდებოდნენ, ან აზრის გადათქმას აიძულებდნენ, ანდა ციმბირში ასახლებდნენ. მხოლოდ 1950-იან წლებში გათავისუფლდა საბჭოთა ბიოლოგია ლისენკოს გავლენისგან („ლისენკოვშჩინა")[1].

ახლა მოდაშია იმ აზრის დაცინვა, ვითომ მეცნიერებას ჭეშმარიტების დადგენა შეეძლოს. სოციოლოგიას თავად მიუძღვის დიდი წვლილი მეცნიერების გრანდიოზულ ამბიციათა მხილებაში, რადგან სწორედ მან აჩვენა, თუ რაოდენ ჰგავს მეცნიერებაში მიმდინარე პროცესები უბრალო ხალხის ყოველდღიურ შემეცნებით საქმიანობას და რომ არც მეცნიერები არიან დაზღვეულნი პირადი დაინტერესებისა და ღირებულებების წნეხისგან, რაც მათ მიუკერძოებლობას ეჭვქვეშ აყენებს. მიუხედავად ამისა, თანამედროვე მეცნიერებამ გარე სამყაროს გაგებასა და მართვაში ისეთ წარმატებას მიაღწია (ზოგიერთის აზრით, საჭიროზე მეტსაც კი), რომ ბუნებრივი გადაწყვეტილება იქნება, თუ სოციალური სამყაროს შესწავლასაც მეცნიერული მეთოდებით მივუდგებით.

[1] ტროფიმ ლისენკო (1898–1976) – საბჭოთა აგრონომი და ბიოლოგი, საბჭოთა მეცნიერების ერთ-ერთი იდეოლოგი 1930-იან წლებში. უარყოფდა მენდელის კვლევებზე დაფუძნებულ შეხედულებებს გენეტიკაში. შემდგომში, მისი სახელი და მოძღვრება – „ლისენკოვშინა" – პოლიტიკურად ანგაჟირებული ფსევდომეცნიერების სინონიმად იქცა. (სამეცნ. რედ. შენიშვნა).

ესე იგი, შემთხვევითი არაა, რომ უნივერსიტეტთა უმეტესობაში სოციოლოგიას არა „ხელოვნებისა და ჰუმანიტარული", არამედ „სოციალურ მეცნიერებათა" ფაკულტეტზე სწავლობენ.

შესაძლებელია სოციოლოგია იყოს მეცნიერული?

თუ სოციოლოგიის დახასიათებას იმის მტკიცებით ვიწყებთ, რომ მან ნიმუშად ბუნებისმეტყველების მეთოდები უნდა აიღოს, აქვე უნდა აღინიშნოს ამ მიდგომის რამდენიმე ფუნდამენტური შეზღუდვაც.

ჯერ ერთი, სოციალურ მეცნიერებებში ექსპერიმენტის ჩატარება იშვიათად ხერხდება. როდესაც 1980-იანი წლების ჩრდილოეთ ირლანდიაში პროტესტანტულ ტერორისტულ ორგანიზაციებს ვსწავლობდი, დამაინტერესა, როგორ ხვდებოდნენ გარკვეული ადამიანები ამ ორგანიზაციათა ხელმძღვანელობაში. ტერორისტების ლიდერებზე (და მათზეც, ვინც ლიდერებად გამოდგებოდნენ, მაგრამ ამას ვერ მიაღწიეს), რაც კი შემეძლო, ყველაფერი რომ გავარკვიე, რამდენიმე სავარაუდო დასკვნამდე მივედი. ტერორისტულ ორგანიზაციებზე გავრცელებული შეხედულების საპირისპიროდ აღმოჩნდა, რომ ლიდერობის შენარჩუნება პირად სისასტიკესა და ულმობლობაზე არ იყო დამოკიდებული. ოცდაათი შემთხვევიდან მხოლოდ ორი ლიდერი მიმართავდა დაშინებას. ერთი თავისივე ხალხმა მოკლა, როგორც კი მისმა ზემდგომმა მფარველმა დაკარგა თანამდებობა. მეორესაც იგივე ბედი ეწეოდა, მანამდე რომ არ დაეპატიმრებინათ და ციხეში არ ჩაესვათ. აშკარა ძალადობაზე უფრო მნიშვნელოვანი დარწმუნებისა და შერიგების უნარი აღმოჩნდა. თუმცა, რადგან ეს უნარი ერთნაირად ახასიათებდათ ლიდერებს კონფლიქტის მთელი ოცდახუთწლიანი ისტორიის განმავლობაში, აუხსნელი რჩებოდა ერთი პრინციპული განსხვავება 1970-იანი წლების ხელმძღვანელებსა და 1980-იან წლებში მათი საქმის გამგრძელებლებად მოსულ ადამიანებს შორის: განსხვავებული სოციალური წარმომავლობა.

მართალია, დიპლომატიურობა ყველას ერთნაირად მოეთხოვებოდა, მაგრამ სოციალური სტატუსი მნიშვნელოვანი აღმოჩნდა პირველ ათწლეულში, თუმცა არა შემდგომში. ლიდერთა პირველ თაობას წარმოადგენდნენ ადამიანები, რომლებიც ტერორისტული აქტების დაწყებამდეც თავიანთ თემში გარკვეული ავტორიტეტით სარგებლობდნენ. მათ ეკავათ თანამდებობები პროფკავშირებში, სათემო ასოციაციებში, პოლიტიკურ პარტიებსა და სახლმმართველობებში. ხალხი, რომელიც სარბიელზე 1980-იანი წლების ბოლოს გამოვიდა, ზემოხსენებულთაგან ძალიან განსხვავდებოდა. მათი უმეტესობა ტერორისტულ ორგანიზაციებში გაიზარდა და დაწინაურებაც კარგი „მუშაობის" – ანუ წარმატებული მკვლელობის, კარგად დაგეგმილი ძარცვის, რეკეტის, ნარკოტიკებით ვაჭრობისა და ა.შ. – შედეგი იყო.

თაობათა შორის სხვაობამ ამ თითქოსდა ბუნებრივ დასკვნამდე მიმიყვანა: ახალ საქმეში, რომელშიც არავის აქვს შესაფერისი გამოცდილება, ლიდერებს სოციალური სტატუსისა და კომპეტენციის ზოგადი კრიტერიუმებით ირჩევენ, ე. ი. ლიდერობაც ერთ-ერთ „უნივერსალურ უნარად" მიიჩნევა. მაგრამ როცა გადის საკმარისი დრო საიმისოდ, რომ ორგანიზაციის მრავალი წევრი თავის ძირითად საქმიანობაში დახელოვნდეს (ამ შემთხვევაში ესაა მკვლელობებისა და მომიჯნავე დანაშაულებრივი აქტების დაგეგმვა და განხორციელება), უკვე შესაძლებელია ლიდერთა შერჩევა აღნიშნული უნარების მქონე პოტენციური კანდიდატებისგან. აქცენტი გადაინაცვლებს ძალიან ზოგადი კომპეტენციის მაჩვენებლებიდან (როგორიცაა წარმატება რომელიმე სხვა საზოგადოებრივ სარბიელზე) უფრო კონკრეტულ, შესასრულებელი ამოცანისთვის საჭირო არსებით მახასიათებლებზე.

ეს ახსნა შეიძლება მცდარიც იყოს. მთავარი შემდეგი ეტაპია: როგორ უნდა გადამემოწმებინა ჩემი ვარაუდი? ბრომიდების ქიმიური თვისებების მკვლევარ ქიმიკოსს შეუძლია ჩაატაროს ცდები, რომლებშიც უცვლელი დარჩება ყველა არაარსებითად მიჩნეული

ცვლადი, და შეცვლის მხოლოდ იმას, რაც, მისი აზრით, მნიშვნელოვანია. ამ ცვლილებების შედეგები შეიძლება გაიზომოს და წინა შედეგებს შედარდეს. მაგრამ მე ჩემი ექსპერიმენტისთვის მდგრად საზოგადოებას ვერ შეექმნიდი და შემდეგ სამოქალაქო ომს ვერ გავაჩაღებდი. თუნდაც ეს შესაძლებელი ყოფილიყო, აღბათ, ყველა მკითხველი დამეთანხმება, რომ ვერავითარი სოციალურ-მეცნიერული ცოდნის წყურვილი ტერორიზმს ვერ გაამართლებს. თუმცა, მოდით, დავუშვათ, რომ ყველა ეთიკური თუ პრაქტიკული დაბრკოლება გადავლახეთ. ჩემი საკუთარი ტერორისტული ჯგუფის შექმნით მაინც ვერ მივიღებდი ბრომიდების მკვლევარი ქიმიკოსის ექსპერიმენტულ მონაცემთა ანალოგიურ შედეგებს, რადგან ჩემი ჩამოყალიბებული გაერთიანება არ იქნებოდა ზუსტად ისეთივე, როგორიც ჩემი კვლევის საგანი – „ბუნებრივად წარმოქმნილი" ჯგუფები. აქ ორი პრობლემას ვაწყდებით. პირველი ისაა, რომ სოციალურ მეცნიერებებში ხელოვნური ექსპერიმენტები ძირეულად განსხვავებულ მიმართებაშია სინამდვილესთან, ვიდრე ქიმიური ცდები, რადგან სოციალური ექსპერიმენტი ბუნებრივის ზუსტ ასლს არ წარმოადგენს – იგი, თავისთავად, სრულიად ახალი სოციალური ფენომენია. მეორე პრობლემა ისაა, რომ სოციალური ცხოვრება ხშირად იმდენად რთულია, ერთმანეთისგან გამიჯნულ იზოლირებულ საკვლევ კომპონენტებად, უბრალოდ, ვერ დაშლი.

მაშასადამე, ერთი მნიშვნელოვანი განსხვავება საბუნებისმეტყველო და სოციალურ მეცნიერებებს შორის ისაა, რომ სოციალურ მეცნიერებებში, როგორც წესი, ვერ ხერხდება ჩვენი ვარაუდების გადამოწმება საგულდაგულოდ დაგეგმილი ექსპერიმენტებით, რომლებშიც ყოველდღიური ცხოვრების მრავალფეროვნებიდან მოვახდენდით მხოლოდ ჩვენთვის საინტერესო ცვლადების გამოყოფას. თუმცა შეგვიძლია ჩავატაროთ და ხშირად ვატარებთ კიდევაც კვაზიექსპერიმენტებს: ესე იგი, ერთმანეთს სისტემატურად ვადარებთ სიტუაციებს, რომლებიც ძირითადად მსგავსია, მაგრამ ერთმანეთისგან მხოლოდ ერთი-ორი არსებითი

ნიშნით განსხვავდება. ამის კარგი მაგალითია როზაბეთ კანტერის მიერ უტოპიური საზოგადოებების კვლევა. მას სურდა გაერკვია, რატომ იყო ზოგი საზოგადოება წარმატებული, ზოგმა კი დროის გამოცდას ვერ გაუძლო. კანტერს ასეთი დაჯგუფებების ისტორიის საფუძვლიანმა შესწავლამ და 1960-იანი წლების კომუნებში ცხოვრების საკუთარმა გამოცდილებამაც შეუქმნა გარკვეული ზოგადი წარმოდგენა იმაზე, თუ რა მახასიათებლები შეიძლება განაპირობებდეს მსგავსი ხელოვნური საზოგადოებების წარმატებას. ესე იგი, მან ჯერ შეიმუშავა ჰიპოთეზები, რომლებიც მის აკადემიურ ცოდნასა და პირად არასისტემატურ დაკვირვებას ეფუძნებოდა, შემდეგ კი აღნიშნული ჰიპოთეზების გადამოწმება განიზრახა. კომუნებს შორის განსხვავებები მათ გარემომცველ საზოგადოებებს შორის არსებულ სხვაობას რომ არ გადაეფარა, კანტერმა საკვლევად ისეთი კომუნები შეარჩია, რომლებიც ერთ ქვეყანაში დროის შედარებით მცირე პერიოდში წარმოიქმნა, კერძოდ, შეერთებულ შტატებში 1780-იდან 1860 წლამდე. ასეთი ოთხმოცდაათი კომუნა აღმოჩნდა: თერთმეტი „წარმატებული", რომლებმაც ოცდახუთი წლის (ანუ, როგორც იმხანად მიიჩნეოდა, ერთი „თაობის") განმავლობაში გაძლო, და სამოცდაცხრამეტი „წარუმატებელი", რომლებმაც მეოთხედი საუკუნეც ვერ გასტანეს. მან შეამჩნია, რომ, არ არსებობდა ისეთი მახასიათებლები, რომლებიც ყველა წარმატებულ შემთხვევაში გვხვდებოდა და არც ერთ წარუმატებელში არ იყო, მაგრამ რამდენიმე მახასიათებელი წარმატებულებს საერთო ჰქონდათ. სამაგიეროდ, იშვიათად ვაწყდებოდით წარუმატებელ კომუნებში. წარმატებული კომუნები თავიანთი წევრებისგან მოითხოვდნენ დიდ მსხვერპლს (მაგალითად, უარის თქმას სექსზე, ალკოჰოლსა და ცეკვაზე). ისინი აგებული იყო მსოფლმხედველობაზე, რომელიც მკაცრად მიჯნავდა კომუნის „კარგ ხალხს" დანარჩენი სამყაროსგან. წევრობის კრიტერიუმები და გაწევრიანების წესიც ძალიან მკაცრი ჰქონდათ. ახალ წევრებს უნდა დაემტკიცებინათ თავიანთი ლოიალობა, ბევრი დრო და ფული უნდა გაეღოთ, რაც, თავის

მხრივ, შემდგომში განდგომის ალბათობას ამცირებდა. თითქმის ყველა წარმატებულ კომუნაში გარე სამყაროსგან ფსიქიკური და სოციალური გამიჯვნას გეოგრაფიული იზოლაციაც ამძაფრებდა. კანტერმა დაასკვნა, რომ იდეის ლოიალობა მისტიკური ფენომენი კი არ იყო, რომელიც უტოპიური საზოგადოების ჩამოყალიბებას წინ უძღოდა, არამედ წარმოადგენდა სოციალურ მახასიათებელს, რომელიც შეიძლება შეიქმნას, როგორც კანტერმა უწოდა, „ლოიალობის მექანიზმთა" მიზანმიმართული გამოყენებით.

მომდევნო წლებში მკვლევრებმა არაერთხელ გადასინჯეს კანტერის დასკვნები. მე მიმაჩნდა, რომ შეხედულებათა ზოგი სისტემა უფრო ხელსაყრელია ლოიალობის ჩამოსაყალიბებლად, ვიდრე სხვები. ხალხის შემოკრება იმ პოლიტიკური ფილოსოფიის ან რელიგიის გარშემო, რომელიც უზენაეს ძალაუფლებას ცალკეულ მიმდევრებს მიაწერს ბევრად ძნელია, ვიდრე ისეთის გარშემო, რომელიც ღმერთს ან რაიმე ზებუნებრივ ძალას აღიარებს: დაახლოებით იგივეა, რაც კატების მწყემსვა და ძროხების მწყემსვა. კონსერვატორი კათოლიკეები და პროტესტანტები წარმატებულ საზოგადოებებად ერთიანდებიან; ლიბერალი პროტესტანტები და „ნიუ-ეიჯის" სულიერ მოძღვრებათა მიმდევრები კი – ვერა. თუმცა, მე ამჯერად კანტერის მეთოდი უფრო მაინტერესებს, ვიდრე დასკვნები. მან თვალნათლივ გვიჩვენა: მართალია, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების დარად ცდებს ადვილად ვერ ჩავატარებთ, მაგრამ, თუ საქმეს შემოქმედებითად მივუდგებით, მაინც შეგვიძლია რეალურ ცხოვრებაშიც მოვნახოთ სოციალური ფენომენების შედარების მარტივი მაგალითები.

საამისოდ სოციოლოგები ხშირად მიმართავენ ფართომასშტაბიან სოციოლოგიურ გამოკითხვებს. დავუშვათ, გვინდა გავიგოთ, რა გავლენას ახდენს სქესი პოლიტიკურ შეხედულებებზე. შეგვიძლია ეს ვკითხოთ მრავალ მამაკაცსა და ქალს, ვის მისცეს ხმა არჩევნებში, და პასუხები ერთმანეთს შევადაროთ. მაგრამ, ამით თუ შემოვიფარგლებით, ვერც ვერაფერს გავარკვევთ, რადგან სხვა

მახასიათებლები, როგორიცაა შემოსავალი, განათლების დონე, რასა და აღმსარებლობა, ასევე ახდენს გავლენას პოლიტიკურ შეხედულებებზე. ამიტომ იმავე ქალებსა და მამაკაცებს დამატებით კითხვებსაც ვუსვამთ, რათა ისინი შემოსავლის დონის, ფორმალური განათლების სისტემაში გატარებული წლების, ეთნიკური კუთვნილების, აღმსარებლობისა და სხვა კრიტერიუმების მიხედვით დავაჯგუფოთ. შემდეგ ვიყენებთ სტატისტიკურ მეთოდს, მრავლობით დისპერსიულ ანალიზს, და ვადგენთ ამ მახასიათებლებიდან რომელს – ცალკე ან რაიმე კომბინაციაში – აქვს ყველაზე დიდი გავლენა პოლიტიკურ არჩევანზე.

რაგინდ საინტერესოც იყოს ასეთი კვლევის შედეგები, ისინი ყოველთვის პირობითი და ალბათურია. შეგვიძლია დაბეჯითებით ვთქვათ, რომ ინდუსტრიულ საზოგადოებებში მუშათა კლასი პოლიტიკურად უფრო მემარცხენეა, ვიდრე მემარჯვენე. მაგრამ ამ დებულებასაც იმდენი გამონაკლისი მოეძებნება, რომ ბუნების კანონად ნამდვილად ვერ მივიჩნევთ. 1950-იან წლებში დასავლეთში არსებობდნენ „მოკრძალებული მშრომელები", რომლებიც, მიუხედავად იმისა, რომ ობიექტურად მუშათა კლასს მიეკუთვნებოდნენ, მაინც უკიდურეს პოლიტიკურ კონსერვატიზმს ავლენდნენ და მიაჩნდათ, რომ მათზე მაღალ სოციალურ საფეხურზე მდგომი ხალხი ქვეყანას უკეთ მართავდა, ვიდრე მშრომელთა წარმომადგენლები. 1980-იან წლებში გაერთიანებულ სამეფოში მარგარეტ ტეტჩერის, ხოლო აშშ-ში რონალდ რეიგანის მიერ განხორციელებულმა ნეოლიბერალურმა პოლიტიკამ – ეკონომიკაში ჩაურევლობამ (laissez-faire), ხოლო სოციალურ საკითხებში ავტორიტარულმა პოზიციამ – მდიდარი რეგიონების მუშათა კლასის მძლავრი მხარდაჭერა მოიპოვა. მაშასადამე, ვიწყებთ მარტივი დასკვნით და აღმოვაჩენთ, რომ მას დახვეწა სჭირდება. ადამიანების უხეში პროფესიული დაყოფა (მაგალითად, ფიზიკურ და ინტელექტუალურ მშრომელებად) არჩევნებზე ხმის მიცემის პროგნოზისთვის გამოუსადეგარია. ამიტომ კლასს ქვეკლასებად ვყოფთ ან სხვა

ფაქტორებს ვამატებთ, მაგრამ საბოლოოდ ჩვენი ვარაუდები მაინც პირობითი და ალბათურია.

ზოგი სოციოლოგისთვის ასეთი წარუმატებლობები დამატებითი მოტივია, რომ კიდევ უფრო დახვეწოს სოციალური ქცევის სავარაუდო მიზეზთა გამოვლენისა და გაზომვის ხერხები. ცხადია, ნებისმიერი წინსვლა ამ მიმართულებით ძალიანაც სასურველია, მაგრამ ის, რომ სოციოლოგიამ დღემდე ვერ აღმოაჩინა კანონები, მხოლოდ დარგის „სინორჩეს" ვერ დაჰბრალდება. მეცნიერული სოციოლოგიის 150-წლიანი ისტორიის გათვალისწინებით, „ჯერ ადრეაო", ამით თავს ვერ გავიმართლებთ. დამატებითი მონაცემების შეგროვებითა და ანალიზით ახალ ცოდნას შევიძენთ, მაგრამ ადამიანთა ქცევის კანონებს ვერასოდეს დავადგენთ, რადგან ადამიანები ატომებს არ ჰგვანან.

სოციალური მეცნიერებები შეისწავლის გონიერ არსებებს, რომლებიც საკუთარ ქცევას თავად ირჩევენ. ამ ეტაპზე, მოდი, ნუ ჩავებმებით ძველისძველ კამათში თემაზე, სინამდვილეში რამდენად თავისუფალია ადამიანი. უბრალოდ, ვაღიაროთ, რომ, მიუხედავად იმისა, რა განაპირობებს ადამიანთა ქცევის ერთგვაროვნებას (ამაზე დაწვრილებით კიდევ ვისაუბრებთ), ამ ფაქტორთა გავლენა სულაც არ არის უპირობო. ყველაზე რეპრესიულმა რეჟიმმა შეიძლება არჩევანი მორჩილებასა და სიკვდილს შორის გაგვაკეთებინოს, მაგრამ მაინც სიკვდილი ვარჩიოთ. ეს რადიკალურად განასხვავებს ადამიანებს საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კვლევის საგნისგან. წყალი ვერ განაცხადებს უარს აორთქლებაზე გაცხელების კვალდაკვალ. მუდმივი წნევის პირობებში წყალს არ შეუძლია ოთხი დღე 100°C-ზე იდუღოს და მეხუთე დღეს დუღილზე უარი განაცხადოს. ადამიანს კი შეუძლია. მოთმინების საზღვარი ყველაზე მორიდებულსაც ამოეწურება ხოლმე.

აღნიშვნას იმსახურებს შემდეგი: სოციალურ მეცნიერებებში გამოყენებული ახსნა არ ჰგავს საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში გამოყენებულს. ჩაიდნის დუღილის ასახსნელად ჩვენ მოგვყავს

წნევასთან, ტემპერატურასა და აქროლადობასთან დაკავშირებული ზოგადი კანონები. წყალს არ გადაუწყვეტია, ადუღდეს თუ არა (ანუ არ მიუღია გადაწყვეტილება, რომელიც შეუძლია ერთხელაც გადათქვას). ამიტომ წყლის ცნობიერებას არ ვითვალისწინებთ, თუ გვსურს, დავადგინოთ ადამიანთა ქცევის ზოგიერთი უზოგადესი კანონზომიერება. მაშინ შეგვიძლია სოციალური მახასიათებლებიც საბუნებისმეტყველო ცვლადებად მივიჩნიოთ და, მაგალითად, განვაცხადოთ, რომ არაკვალიფიციური მუშები, ბიზნესმენებისგან განსხვავებით, უფრო დიდი ალბათობით არჩევნებში ხმას სოციალისტებს მისცემენ. მაგრამ, თუ გვსურს, ავხსნათ, ასე რატომ ხდება, უნდა შევისწავლოთ მათი შეხედულებები, ღირებულებები, მოტივები და განზრახვები. რაკი ყველანაირ ქცევას ადამიანის ცნობიერება განსაზღვრავს, სოციალურ მეცნიერებებს, საბუნებისმეტყველოსგან განსხვავებით, დამატებითი გარჯა უწევს. თუ ქიმიკოსი აღმოაჩენს, რომ განმეორებით ცდებშიც ბრომიდები რეაქციებში ერთნაირად შედის, იგი კვლევას წყვეტს. კანონზომიერების დადგენით კვლევა სრულდება. სოციალური მეცნიერისთვის ეს მხოლოდ დასაწყისია. თუნდაც დაგვედგინა, რომ კონკრეტულ სიტუაციაში ყველა ყოველთვის ერთსა და იმავეს აკეთებს (არადა, მსგავსი მკაცრი კანონზომიერებები თითქმის უცნობია), მაინც გვენდომებოდა იმის გარკვევა, ასე რატომ ხდება.

სიტყვებში „რა" და „რატომ" ნათლად ჩანს განსხვავება. ქიმიკოსისთვისაც შეიძლება ასევე იყოს. როცა ქიმიკოსები გარკვეულ კონტროლირებულ პირობებში შეაგროვებენ საკმარის მონაცემებს და ზუსტად გაარკვევენ, რა ხდება, მათ, შესაბამისად, ისიც ეცოდინებათ, რატომ ხდება. მაგრამ, როცა გერმანელმა სოციოლოგმა მაქს ვებერმა საკმარისი ინფორმაცია მოიპოვა და პროტესტანტული რეფორმაციის პურიტანული განშტოების გავრცელებასა და თანამედროვე ინდუსტრიული კაპიტალიზმის აღმავლობას შორის (ანუ „რა" მოხდა) მჭიდრო კავშირის არსებობაში დარწმუნდა, ეს მხოლოდ დასაწყისი იყო. მას სურდა გაერკვია, რამ განაპირობა

პურიტანებში თანამედროვე სამეწარმეო საქმიანობისთვის ესოდენ ხელსაყრელი განწყობის ჩამოყალიბება. სურდა სცოდნოდა, რატომ შეიძლებოდა კონკრეტულ რელიგიურ შეხედულებებს შრომისა და მოხმარებისადმი ახლებური დამოკიდებულება წარმოეშვა. იგი პასუხს პურიტანების გონებაში ეძებდა. სანამ ახსნიდა, ჯერ უნდა გაეგო.

სოციოლოგის დაინტერესება რწმენებით, ღირებულებებით, მოტივებითა და განზრახვებით საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისთვის უცხო პრობლემებს წარმოშობს. რომ გაეუგოთ ადამიანებს, როგორმე უნდა გაეიგოთ მათი მოსაზრებები ან მოვაყოლოთ, რას და როგორ აკეთებენ. ამავე დროს, მოტივებში გარკვევა მხოლოდ ქცევის გაგებისთვის როდი გვჭირდება. ჩვენთვის საინტერესო სოციალური ქცევის, როგორც ფაქტის, უბრალო დადგენაც კი მოტივების გათვალისწინებას მოითხოვს. სითხის აირად გარდაქმნის აღწერისას სითხის სულიერი მდგომარეობა შეგვიძლია უგულებელვყოთ, მაგრამ ადამიანთა ქცევას მათზე უბრალო დაკვირვებით ვერ შევისწავლით. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ჩვენი მიზნებისთვის ფიზიკური ქცევა არ კმარა. დავუშვათ, გვაინტერესებს, როგორ ურთიერთობენ ადამიანები საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში. ხალხმრავალ რკინიგზის სადგურში მაგიდასთან ვსხდებით, ხალხს ვაკვირდებით და ჩანაწერებს ვაკეთებთ. თუმცა, თუ მხოლოდ ხილული ნაწილით შემოვიფარგლებით, ბევრს ვერც ვერაფერს შევიტყობთ. ვთქვათ, ჩავინიშნეთ, რომ „ბაქნისკენ სახით მდგომი მამაკაცი მკლავს მაღლა სწევს და იქით-აქეთ ამოძრავებს". ვერ ვიტყვით, რომ „მამაკაცი მატარებლით მომავალ მგზავრს ხელის დაქნევით ესალმება", რადგან ასეთი აღწერა შეიცავს ფიზიკური საქციელის კონკრეტულ ინტერპრეტაციას, რომელიც მისი განზრახვის შესახებ ჩვენს ვარაუდს ეფუძნება. შეიძლება, იმ კაცს სულაც ნერვი მოეშალა ან მკლავი დაუბუჟდა.

ჩვენს საკუთარ კულტურაში ადამიანთა მარტივ ქცევას ხშირად თამამად შეგვიძლია მივაწეროთ ესა თუ ის მნიშვნელობა.

მატარებლებიდან გადმოსულ არაერთ ადამიანს დავხვედრივარ, ასე რომ, ვიცი, „ხელის დაქნევით მისალმება" რაც არის. მაგრამ დავუშვათ, ადამიანი მუხლს იყრის და გაშვერილი ხელებით წინ იხრება. შემდეგ ისევ სწორდება. ჰეკინში ეს შეიძლება გარკვეული სახეობის ვარჯიში იყოს, კაიროში კი – ლოცვა. საბოლოო ჯამში, ქცევის მნიშვნელობის გასარკვევად ადამიანს (ამა თუ იმ მეთოდით) უნდა ვკითხოთ: „რას აკეთებ?" ქცევის დადგენაც კი განზრახვის გათვალისწინებას მოითხოვს.

განზრახვის გათვალისწინება კიდევ უფრო საჭიროა ქცევის ასახსნელად. ასეა თუ ისე, საბოლოოდ სოციოლოგს უწევს ჰკითხოს ადამიანებს მათი მოტივებისა და განზრახვის შესახებ. მაგრამ კითხვის დასმა და პასუხის გაცემაც, თავისთავად, სოციალური ურთიერთობის ფორმებია. მიღებული პასუხი შეიძლება განზრახ მცდარი იყოს: ადამიანები იტყუებიან ხოლმე. როგორც წესი, პასუხი ერთდროულად წარმოადგენს როგორც წარსულ მოტივთა გახსენების გულწრფელ მცდელობას, ისე მოცემულ მომენტში განხორციელებულ ქცევასაც, რომელიც ამჟამინდელი ინტერესების დაცვას ემსახურება; და ამ ორის გამიჯვნა ზოგჯერ ძალიან ძნელია.

ზოგ ვითარებაში ფაქტის დამახინჯება არავის უკვირს. ყველამ ვიცით, რომ ის, რასაც ბრალდებულები სასამართლო დარბაზში განაჩენის ან სასჯელის გამოტანამდე ამბობენ, საკმაოდ განსხვავდება იმ ვერსიისგან, რომელსაც მეგობრებსა და ოჯახის წევრებს უყვებიან მას მერე, რაც მათ უდანაშაულოდ ცნობენ ან პატიმრობას თავს აარიდებენ. ადამიანს, რომელიც სასამართლოში ამბავს ჰყვება, პირადი ინტერესებიც ამოძრავებს და სასამართლოც მოითხოვს, რომ ამბავი უჩვეულოდ სტილიზებული ფორმით გადმოიცეს. ჩვენების მიცემის სტანდარტული ფორმა იმის გამო შემუშავდა, რომ ადვოკატები ზოგჯერ საგანგებოდ „წვრთნიან" თავიანთ მოწმეებს. ჩემი სიტყვები იმას არ ნიშნავს, თითქოს სასამართლოში მოყოლილი ვერსია ყოველთვის სიცრუეა, ხოლო არაფორმალური – სიმართლე. იმის თქმა მსურს, რომ ამბის მოყოლა, უკვე მომხდარის უბრალო განმარტება კი არ არის, არამედ თავისთავად ახალი სოციალური ქცევაა, რომელზეც კონტექსტი და მონაწილეთა პირადი ინტერესებიც ახდენს გავლენას.

მეორე მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ რელიგიური მოქცევის ისტორიები. ახალმოქცეულებს სჩვევიათ თავიანთი რწმენის სიმტკიცეზე საუბრისას იმის მოყოლა, თუ როგორ მივიდნენ ღმერთთან. საკმარისია რამდენიმე ასეთი ისტორია მოისმინოთ და მაშინვე შენიშნავთ ძირითად სიუჟეტებს. ახალმოქცეული მორწმუნე მშობლების ხელში აღიზარდა, რომლებიც ძალ-ღონეს არ იშურებდნენ, რომ მათ შვილს ჭეშმარიტი გზიდან არ გადაეხვია. მაგრამ მან ამქვეყნიურ ცდუნებებს ვერ გაუძლო და ცოდვის გზას დაადგა. თუმცა, თუ რამ მოიოხინა, ბოლოს მაინც ყველაფერი ცუდად მოუბრუნდა. ცოდვაში ჩავარდნას წინ უძღოდა რაღაც სახის ცხოვრებისეული კრიზისი (ხშირად ღვთისმოსავი დედის ან რომელიმე სხვა ძვირფასი ადამიანის გარდაცვალება). ამერიკელ პროტესტანტებს განსაკუთრებით უყვართ „გზის ისტორიები": „იმ ღამით სახლში მანქანით ვბრუნდებოდი და ვიგრძენი, ცოდვა გულზე ლოდად დამაწვა. მივხვდი, იმ წუთს რომ მოვმკვდარიყავი, ჯოჯოხეთში მოვხვდებოდი. მანქანა გავაჩერე და იესოს ჩემს ცხოვრებაში დაბრუნება ლოცვით შევთხოვე". ასახელებენ თარიღს, დროსა და ადგილს. ბოლო აბზაცში ახალმოქცეული ჰყვება, როგორ შეიცვალა უკეთესობისკენ მისი ცხოვრება მას შემდეგ, რაც თავი უფალს მიუძღვნა. დიახ, შესაძლოა ეს ისტორიები ერთმანეთს ასე ძალიან იმიტომ ჰგავს, რომ მათში მსგავსი რეალობაა აღწერილი. მაგრამ, რაკი ევანგელიკურ-პროტესტანტულ კულტურაში აღზრდილებს, სავარაუდოდ, ასობით მსგავსი ისტორია მოუსმენიათ, ამბების მსგავსებას თხრობის აღნიშნული ფორმის პოპულარობა განაპირობებს – ესე იგი, თხრობის ფორმა განსაზღვრავს იმას, თუ როგორ აღიქვამენ ადამიანები საკუთარ ცხოვრებას.

მსგავს პრობლემას გამუდმებით ვაწყდებოდი ჩრდილოეთ ირლანდიის ლოიალისტი გასამხედროებული დაჯგუფებების წე-

ვრებისგან აღებულ ინტერვიუებში. ზოგი მათგანი – ალბათ, ძვალ-
რბილში გამჯდარი სიტყვაძვირობის გამო, რომელიც პოლიციის
დაკითხვებისთვის წლობით თავის არიდებამ გამოუმუშავათ, – გან-
ზრახ აკნინებდა საკუთარ როლს ტერორისტულ აქტებში. სხვები
კი, სავარაუდოდ, საშუალო კლასის წარმომადგენელი მეცნიერის
გაოცების მიზნით, თავიანთ დანაშაულს აზვიადებდნენ. ერთ კაცს
ისე უნდოდა თავისი საგმირო საქმეებით ეტრაბახა, რომ მკვლე-
ლობაც კი დაიბრალა, მე კი დანამდვილებით ვიცოდი, რომ ეს მას
არ ჩაუდენია. კვლევითი ინტერვიუს მეთოდი თავად ამახინჯებს იმ
ინფორმაციას, რომლის მოპოვებასაც ის ემსახურება, მაგრამ ამ
პრობლემას მხოლოდ დანაშაულის ან სხვა მსგავსი საფრთხილო
თემების კვლევებში როდი ვაწყდებით. იგი ნებისმიერი სოციალური
კვლევის განუყოფელი ნაწილია, რადგან სამეცნიერო კვლევა-
ძიებას დამატებითი ცვლადები შემოაქვს.

მხოლოდ ერთ მაგალითს მოვიყვან: საზოგადოებრივი აზრის
გამოკითხვისას კვლევის ავტორები ხშირად სთხოვდნენ ხალხს აზ-
რის გამოთქმას ამა თუ იმ საკითხზე, მაგრამ არ ითვალისწინებდნენ,
რომ თავად აზრის გამოკითხვის ფაქტი შეიძლება აიძულებდეს
ადამიანს, საკუთარი გრძნობები ისეთი საკითხის მიმართ გამოხატოს,
რომლის შესახებ წარმოდგენაც არა აქვს და რომელიც სულაც
არ აინტერესებს. კალიფორნიაში ჩატარებული ერთი გამოკითხვის
დროს რესპონდენტებს შეაპარეს კითხვა გამოგონილ თემაზე, რო-
მელიც ვითომდა მოახლოებულ რეფერენდუმზე უნდა გაეტანათ.
მათ ეკითხებოდნენ: „ალბათ გსმენიათ სნიბოს შესწორებაზე. რას
ფიქრობთ ამ საკითხზე?" და შემდეგ სთავაზობდნენ ასარჩევად სტა-
ნდარტულ სავარაუდო პასუხებს. გამოკითხულთა დიდი ნაწილი
შესწორების მომხრე ან წინააღმდეგი იყო, თანაც ბევრმა თქვა, რომ
სრულებით ემხრობოდა ან პრინციპულად ეწინააღმდეგებოდა.
შესაძლოა, თავიანთი უგუნურების გამჟღავნება არ უნდოდათ და
იმის აღიარება, რომ წარმოდგენა არა აქვთ, ინტერვიუერი რას
ეკითხება. შესაძლოა, უბრალოდ, კვლევაში დახმარების სურვილი

ამოძრავებდათ. ან იქნებ ურთიერთობის ხასიათი („ახლა მე კი-
თხვებზე პასუხი უნდა გავცე") იმდენად უბიძგებდა რესპონდენტებს
მკაფიო პასუხების გაცემისკენ, რომ მათ ინერციით უპასუხეს ისეთ
კითხვასაც, რომელსაც, წესით, ეჭვი უნდა აღეძრა.

ადამიანთა სიტყვებსა და ქცევას შორის ოთხგვარი კავშირი
შეიძლება არსებობდეს. პირველი ის, რომ სავარაუდოა რესპონ-
დენტებს არ ახსოვდეთ ან არ ესმოდეთ საკუთარი მოტივები. მე-
ორე: შეიძლება ძალიანაც კარგად ახსოვდეთ და ესმოდეთ, მაგრამ
განზრახ ითვალთმაქცონ. XIX საუკუნის მეწარმემ, ჯონ პირპონტ
მორგანმა ზუსტად აღწერა ღირსეულ და პატიოსან ადამიანად
გამოჩენის სურვილი, როცა თქვა: „ყველა საქციელს ორი მიზეზი
აქვს: საპატიო მიზეზი და ნამდვილი მიზეზი". მესამეც, რაგინდ კა-
რგად იცნობდეს ადამიანი საკუთარ თავს და რაგინდ სურდეს ამბის
პატიოსნად მოყოლა, თხრობის კონტექსტმა შეიძლება იმხელა
გავლენა იქონიოს, რომ მის მონათხრობს მათი წინარე სულიერი
მდგომარეობის სანდო მტკიცებულებად ვერ გამოვიყენებთ: ინდი-
ვიდუალური განსხვავებების ნაცვლად ზოგჯერ სრულ ერთსუ-
ლოვნებას ვაწყდებით – ამის მაგალითად რელიგიური მოქცევის
ისტორიებიც კმარა.

ბოლო ორ ტიპს შორის შეგვიძლია ჩავსვათ მეოთხე ვარია-
ნტიც: კოლექტიური თვალთმაქცობა. ხშირად ადამიანთა ჯგუფი
რაღაც საერთო, მათი აზრით, სწორი პრინციპებით ხელმძღვა-
ნელობს, მაგრამ, როცა ამ ადამიანებს თავიანთი ქცევის ახსნას
სთხოვენ, თავს საზოგადოებისთვის უფრო მისაღები მიზეზებით
იმართლებენ. მაგალითად, ექიმებმა თირკმლის უკმარისობის ან
ფილტვის კიბოს ძვირად ღირებული მკურნალობის დანიშვნი-
სას შეიძლება პირადი ზნეობრივი პრინციპებიდან გამომდინარე
განსაზღვრონ, რა ტიპის ადამიანები იმსახურებენ ყურადღებას
(და, სავარაუდოდ, ამ კატეგორიაში ვერ მოხვდებიან ალკოჰოლი-
ზმით დაავადებულები და მწეველები), მაგრამ შემდეგ თავიანთი
საქციელის გასამართლებლად ამტკიცონ, რომ გადაწყვეტილება

მხოლოდ და მხოლოდ იმის საფუძველზე მიიღეს, თუ, მაგალითად, რამდენად მაღალი იქნებოდა მკურნალობის ეფექტიანობის ალბათობა – რაც ზოგჯერ შეიძლება ემთხვეოდეს კიდეც მათ პირადულ მიზეზს, თუმცა ზოგჯერ ეს სულაც არაა ასე[1].

ადამიანების სიტყვასა და საქმეს შორის ასეთი ცვლადი მიმართებების საპასუხოდ ჩვენ შეგვიძლია, უბრალოდ, ხელი ავიღოთ იმის გარკვევაზე, – როგორც ჰაროლდ გარფინკელმა აგდებით თქვა, – „ადამიანების თავში რა ხდება". გარფინკელის უფრო რადიკალი მიმდევრები აცხადებდნენ, რომ შეუძლებელია, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, „გავუგოთ" ადამიანებს. ისღა დაგვრჩენია, ამბის გადმოცემის მექანიკა შევისწავლოთ. ესე იგი, შეგვიძლია გავაანალიზოთ სასამართლო დარბაზში მიმდინარე საუბრის ფორმალური სტრუქტურა, მაგრამ ამ საუბრიდან ბრალეულობას ვერ განვსაზღვრავთ. შესაძლებელია საორკესტრო პარტიტურასავით აღვწეროთ რელიგიური მოქცევის ისტორიები, მაგრამ მოქცევის ასახსნელად ამ მონაცემებს ვერ გამოვიყენებთ.

ვიტყოდი, რომ ეს უსაფუძვლოდ პესიმისტური დასკვნაა. სოციოლოგია არ ფლობს რაღაც ჯადოსნურ ხერხს, რომლის სწორი გამოყენებითაც გამოსადეგ ინფორმაციას უვარგისი ბოდვისგან გავმიჯნავდით. მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ზოგჯერ სასამართლო ადგენს სიმართლეს: გამოცდილი დამკითხველები თავგზის აბნევის ყველა მცდელობას იგერიებენ; ადამიანები არკვევენ, რომ თურმე საყვარლები ღალატობდნენ; და საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვებშიც ხერხდება „თანხმობის ეფექტის" დაძლევა. მაგალითად, თუ ხალხს ჰკითხავთ: „ჩამოთვლილთაგან რა გააკეთეთ წინა შაბათ-კვირას?" და პასუხს „ვიყავი ეკლესიაში ან სხვა სალოცავში" ჩასვამთ სხვა შესაძლო პასუხებს შორის, როგორიცაა „ვივარჯიშე", „საყიდლებზე გავედი", „ნათესავები მოვინახულე", „კინოში წავედი" და მისთანანი, ეკლესიაში სიარულის უფრო დაბალ მაჩვენებელს მიიღებთ, ვიდრე მაშინ, როცა პირდაპირ ჰკითხავთ: „იყავით ეკლესიაში (ან სხვა მსგავს სალოცავში) წინა შაბათ-კვირას?"

ჩვენ არ გვაქვს უშეცდომო მეთოდი, რომლითაც ადამიანთა ნათქვამიდან სიმართლეს გამოვადნობდით, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ აშკარა პრობლემების დაძლევის შემოქმედებითი ხერხების მოფიქრება არ ძალგვიძს და ამიტომ წარუმატებლობისთვის ვართ განწირულნი. თუ უბრალო ადამიანები ახერხებენ ზოგჯერ სწორი დასკვნების გამოტანას სხვათა ნათქვამიდან, სოციალურ მეცნიერებს იგივე რატომ არ შეუძლიათ?

ჯერჯერობით საბუნებისმეტყველო და სოციალურ მეცნიერებებს შორის განსხვავებების ანალიზი ამ უკანასკნელთა სასარგებლოდ არ მეტყველებს. ამ საკითხს მეორენაირადაც შეგვიძლია შევხედოთ. მრავალწლიანი მუშაობით სადღეგრძელო ცხენების მწვრთნელმა შეიძლება კარგად შეისწავლოს ამ ცხოველის ქცევა და მიდრეკილებები. სოციალურ მეცნიერებს კი თავიდანვე დიდი უპირატესობა აქვთ, რადგან თავიანთ ცდისპირებთან საერთო ბიოლოგია, ფსიქოლოგია და, მნიშვნელოვანწილად, საერთო კულტურაც აკავშირებთ. არასოდეს ვყოფილვარ ტერორისტული ორგანიზაციის წევრი, არ ჩამიდენია სერიოზული დანაშაული და ისე არ დამიგეგმავს ჩემი ცხოვრება, რომ უკიდურესად შემემცირებინა მოკვლის ან დაპატიმრების ალბათობა. მაგრამ ჩემს პირად გამოცდილებაშიც შემიძლია გამოვყო ისეთი მიზნები, რომლებსაც მთელი გულით ვემსახურე, მოვლენები, რომლებმაც შემაშფოთა ან განმარისხა, საქციელი, რომლითაც ვამაყობ, და ისეთი საქციელიც, რომლისაც საშინლად მრცხვენია. ზოგჯერ ადამიანები, რომლებსაც ვსწავლობთ, უცხოპლანეტელებად გვეჩვენებიან, მაგრამ ჩვენ მაინც იმდენი მსგავსი თვისება გვაქვს, რომ საერთო ენის გამონახვას ვახერხებთ. შუა საუკუნეების რაინდი, რომელიც ჯვაროსნული ლაშქრობიდან დაბრუნების შემთხვევაში სამლო-

[1] ამ გარემოებას ეხმიანება ე.წ. „სოციალური სასურველობის" ეფექტი – სიტუაცია, როდესაც რესპონდენტები საზოგადოებაში მიღებულ მოსაზრებებს დაამთხვევენ საკუთარი პასუხებს, რომ ამით კარგი შთაბეჭდილება მოახდინონ სხვაზე. (სამეცნ. რედ. შენიშვნა).

ცველოს აგების პირობას დებს. ტრობრიანის კუნძულების მკვიდრი მეთევზე, რომელიც ზღვაში გასვლამდე ჯადოსნურ რიტუალს ასრულებს, და იტალიელი ფეხბურთელი, რომელიც მოედანზე გასვლამდე პირჯვარს იწერს, ყველასთვის გასაგებ და ნაცნობ ქცევას ახორციელებენ: დროში მოგზაურობა რომ შესაძლებელი ყოფილიყო და ისინი შეგვეხვედრებინა, ეჭვიც არ გვეპარება, ერთმანეთის ქცევაში ღვთაებრივი შემწეობის მოხმობისა და თვითგამხნევების რიტუალებს ამოიცნობდნენ.

როცა ერთმანეთის არ გვესმის, ამას, როგორც წესი, თავადაც ვხვდებით და ვცდილობთ, გავერკვეთ. ყველანაირ დანაკლისს, რომელიც ექსპერიმენტის ჩატარების შეუძლებლობითაა გამოწვეული, სრულად ანაზღაურებს ის, რომ შეგვიძლია ჩვენს რესპონდენტებთან ხანგრძლივი საუბარი გავმართოთ. ტერორისტული ორგანიზაციის შიდაკარიერულ სტურუქტურაზე ჩემს ვარაუდებს ექსპერიმენტულად ვერ ვიკვლევდი, მაგრამ შემეძლო ისინი – პირდაპირ ან ირიბად – ჩემს რესპონდენტებთან საუბრის დროს მეხსენებინა. საკუთარი თავის ცოდნაც მეხმარება იმაში, რომ სოციალურ-მეცნიერული განმარტებების დამაჯერებლობა გადავამოწმო. ყოველთვის სიფრთხილე უნდა გამოვიჩინოთ, როცა სხვა ადამიანების ქცევას ისეთ ახსნას ვუძებნით, რომელიც ჩვენთან მიმართებით არასარწმუნოდ გვეჩვენება.

შეჯამება

უნდა გავითვალისწინოთ განსხვავება საბუნებისმეტყველო და სოციალური მეცნიერებების კვლევის საგანს შორის. ადამიანები ფიქრობენ და გრძნობენ. ისინი ასე ან ისე იქცევიან, როგორც არა იმიტომ, რომ რაიმე დაკანონებულ წესს უნდა მისდიონ, არამედ იმიტომ, რომ აქვთ შეხედულებები, ღირებულებები, ინტერესები და განზრახვები. შესაბამისად, სოციოლოგიური კვლევის ზოგი ასპექტი შეიძლება საკმაოდ ჰგავდეს ქიმიკოსთა და ფიზიკოსთა მუშაობას, მაგრამ სოციოლოგს ყოველთვის უწევს დამატებით გარჯა. სოციოლოგიური ახსნის ცნება სოციალური ქცევის კანონზომიერებათა დადგენით არ შემოიფარგლება. ასევე მოგვეთხოვება ამ ქცევის გაგება. შესაძლოა ვეჭვობდეთ, მეცნიერები ყოველდღიურ საქმიანობაში მართლაც ზუსტად იცავენ თუ არა თავიანთ საპროგრამო განცხადებებში საკუთარი თავისთვის დაწესებულ მაღალ სტანდარტებს, მაგრამ ცოდნის მოპოვების საუკეთესო მოდელად უდავოდ, საბუნებისმეტყველო მეცნიერებები რჩება. კრიტიკული აზროვნება, სიბეჯითე და პატიოსნება მტკიცებულებათა მოპოვების პროცესში, იდეათა ლოგიკური ურთიერთკავშირისა და არსებულ მონაცემებთან შესაბამისობის შემოწმება, ჩვენი არგუმენტების გამაბათილებელი და არა მარტო განმამტკიცებელი ფაქტების მოძიება, იდეათა და მონაცემთა იდეოლოგიური შეზღუდვებისგან თავისუფალი გაცვლა-გამოცვლა, – სოციალურ მეცნიერებებს შეუძლია ეს ყველაფერი თავის სასარგებლოდ გამოიყენოს.